სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#19 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2024 წლის 2 თებერვლის #15/2024 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნ ქტის „ა“ და “ზ“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1 პუნქტის “ზ“ ქვეპუნქტისა და 195-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების **მორიგი** საერთო კრება **2024 წლის 30 დეკემბერს, 17:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:
    1) საზოგადოების კაპიტალის ცვლილება;
    2) კაპიტალის შევსების გეგმის შეთანხმება;
    3) სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება.
2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2024 წლის 20 დეკემბერი,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
    - 2025 წლის ბიუჯეტი და განმარტებითი ბარათი
    - სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე დაუყოვნებლივ.

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი

Irakli Galdava

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2024.12.30 15:21:01 +04'00'